№ 270
სამშაბათი, 14 დეკემბერი 1893

1877—1893

# ივერია

№ 270
სამშაბათი, 14 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად: უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

სამშაბათს, 14-ს, და ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, ქვაშვეთის წმ. ეკკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის მწერალის

## ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის

სულის მოსახსენებლად.

განსვენებულს ანდერძს აუგებენ კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზედ, რის შემდეგაც მიცვალებულის გვამი წასვენებულ იქმნება სოფ. ყაზბეგში საგვარეულო სამარხში დასაკრძალავად.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 15 დეკემბერს,
ვ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ
წარმოდგენილი იქნება:

I

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები!
კომ. 2 მოქ., თარგ. მ. საფაროვისა.

II

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე

III

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, მაქსიმიძისა, მძინაროვისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძედა სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 7 1/2 საათზედ

ტფილისი, 14 დეკემბერს

—

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ემილ ზოლა თხოულობს, რომ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის დაიდოს სალიტერატურო კონვენცია.

ამ აზრის განსახორციელებლად ზოლა მიჰმართავს რუსეთის მწერალთა და იმედოვნებს, რომ მათის დახმარებით ეს ფრანგთათვის ფრიად სასარგებლო, და რუსთათვის დიდად საზარალო ხელ-შეკრულობა დაარსდებაო.

ამ საგნისათვის მრავალჯერ უმეცადინია თითონ საფრანგეთის მთავრობას რუსეთის მთავრობის წინაშე, მაგრამ რუსეთის მთავრობას შესაძლოთ ვერ დაუნახავს დაეკმაყოფილებინა ფრანგთა სურვილი. მიზეზი ასეთის უარის ყოფისა ის იყო, რომ მთელის საფრანგეთის გონების ნაწარმოები, რაც-კი რამ ცოტაოდნად საყურადღებო დაიბეჭდება თუ არა საფრანგეთში, იმ წამსვე ითარგმნება რუსულს ენაზედ და ყოველს ნათარგმნს წიგნში რომ ფასი გადაიხადოს რუსეთმა, მაშინ ისეც საკმაოდ დაბეგრილს რუსეთის ერს ფრანგების მექარხნეებისაგან, მოემატება ყოველ წელს გადასახადი არა ერთი და ორი მილიონი მანეთი.

დღეს იმის წყალობით, რომ სალიტერატურო კონვენცია არ არსებობს საფრანგეთსა და რუსეთს შორის, ფრანგთა ავტორების თარგმნა თავისუფლად და უსასყიდლოდ შესაძლოა. სამაგიეროდ რუსულის წიგნების უსასყიდლოდვე თარგმნაც არ არის ფრანგთათვის დაშლილი. მაგრამ ემილ ზოლას განუზრახავს ეს თავისუფალი დამოკიდებულება მეგობარ ერთა შესცვალოს სავალდებულო დამოკიდებულობით და გაუძნელოს რუსის ერს საფრანგეთის მწერლების კითხვა რუსულად.

ზოლა უთუოდ ასე ანგარიშობს, რომ ერთს ფრანგულად გადათარგმნილ რუსულ წიგნზედ რამდენიმე ასი ფრანგული წიგნი მოდის წელიწადში ისეთი, რომელიც ითარგმნება რუსულად, და აქ საფრანგეთის ერი წაგებაში არისო.

ყოველივე ესე უეჭველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ასე რომ არ ყოფილიყო, განა თითონ გამოჩენილ რომანისტს ეყოლებოდა რუსეთში იმდენი მკითხველი და თაყვანისმცემელი, რამდენიც დღესა ჰყავს, თუმცა ამ თაყვანისცემას ოქროები და ფრანკები კი არ მოსდევს.

იქნება ემილ ზოლას კარგადაც შეერჩიოს დრო ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოსაგდებად, იქნება იმ სიყვარულისა და თანაგრძნობის შემდეგ, რომელსაც მოკავშირენი იჩენენ ერთმანერთისადმი, ამ კონვენციის მიღება შესაძლებელიც იყოს, მაგრამ ეს ხომ პირდაპირ აზარალებს და დიდადაც დააბრკოლებს მწერლობას თუ ზოლას სურვილი შესმენილ იქნა; აქეთგან გამოჩნდება, რომ რუსეთის მთავრობა არავითარს მსხვერპლს არა ჰზოგავს, ოღონდ-კი დააკმაყოფილოს საფრანგეთის.

მაგრამ აქაც ცოტაოდენი შეცდომა მოსვლია ნიჭიერს რომანისტს. თუ ნამდვილად ჰნებავდა, რომ სალიტერატურო კონვენცია შეკრულიყო რუსეთსა და საფრანგეთს შორის, მაშინ პირდაპირ საფრანგეთის მთავრობა უნდა მიქცეულიყო რუსეთის მთავრობასთან, და არა ზოლა, რუსეთის მწერლობის მიმართ.

„ქერმინალის“ ავტორს უთუოდ ჰგონია, რუსეთის ლიტერატორები დიდ შემწეობასა და დახმარებას გაუწევენ ამ მათთვის საზარალო საქმეში.

ვსთქვათ, ნოტოვიჩი, სუვორინი და სხ. კიდევაც დასთანხმდნენ ზოლას აზრს, მერე, რა სასურველი, ნაყოფი წარმოსდგება აქეთგან? განა რუსის ჟურნალისტთა აზრს ასეთი გავლენა და ზედმოქმედება აქვს მთავრობაზედ?!

რუსეთის მწერლობა არა თუ მთავრობას, არამედ უმაღლესს წოდებასაც-კი არ მიაჩნია რაიმე პატივსადებ ძალად; ამას თვით გაზეთი „Новости“-ს რედაქცია მოგვითხრობს:

ამ დღეებში საფრანგეთის ელჩს გრაფ მონტებელლოს პეტერბურგის თავად-აზნაურობამ პატივსაცემი სადილი გაუმართა; სადილად მიწვეულნი იყვნენ სატახტო ქალაქის წარჩინებულნი კაცნი; ხოლო პეტერბურგის თავად-აზნაურთა მარშალს საჭიროდ არ დაუნახავს ამ სადილზე მიეწვია მწერლობის წარმომადგენელნიც. გაზეთის რეპორტერები, როგორც თითონ „Новости“ სწერს ლაქიებსა და მზარეულებში იყვნენ გარეულნი, და ისიც კონტრაბანდით.

პეტერბურგის გაზეთი დიდათ დრტვინავს, სწუხს და წუწუნებს მწერლობის ასეთს შეურაცხებას, მაგრამ ნადიმის ამბავს მაინც დაწვრილებით აღგვიწერს.

ასეთი ალაგი უჭირავს და ასეთი მნიშვნელობა აქვს რუსეთში მწერლობას და ემილ ზოლას-კი თავის მშვენიერს პარიზში ჰგონია, რომ სუვორინი და ნოტოვიჩი არის სახელმწიფო საქმეების გამსჯელი და განმჩენი!

მეველე

—◆◆—

## ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი

(მოგონება)

სანდრო მეტის-მეტი კაცთმოყვარე იყო. ერთხელ ორნი მოვდიოდით თეატრის რეპეტიციიდან ბულვარზედ. კლასსიკური გიმნაზიის წინ ფართო გოლოვინის პროსპექტზედ ოთხი ცხენშებმული ურემი მიჰქონდათ მთიულ-მოხევეებს, რომელთაც კავკავიდან ჩამოტანილი ქირა დაეცალათ და შინისაკენ მიეშურებოდნენ. ერთმა მოხევემ მეორეს დაუძახა სახელი და ამ ხმაზედ სანდრომ მაშინვე ყურები აცქვიტა და გაეშურა მოხევეებისაკენ.

— „სადაურები ხართ, ძმობილო?“ ჰკითხა სანდრომ ერთ-ერთს მოხევეს.

— კობიდან, ძმაო, უპასუხა მოხევემ.

— სადა გაქვსთ ბინა, ცხენებს სად გამოუშვებთ? ჰკითხა კვლავ სანდრომ.

— ხიდთან რომ ჯვარია, იქ გამოუშვებთ, უპასუხა მოხევემ.

სანდრომ გაანება თავი და გაბრუნდა უკან; შევიდა თეატრში და კასსირს გამოართვა ერთი თუმანი. გამოუდგა ფაიტონით მოხევეებს და გაჰყვა თან. მივედით ვერის ჯვართან. დატრიალდა სანდრო, ცხენებს თივა-ბზე-ქერი, მოხევეებს პუ-

# ფელეტონი

—

## რა დააშავა ბ-ნმა კალ. ჩიქვაიძემ

წლილი მესამე

ჩვენს ბანკს რომ ქალაქის მამულებზე გრძელ ვადიან სესხის გაცემის უფლება დროზე მიელო, არც ერთი ქუთაისის მამული ტფილისის ბანკში არ გადავიდოდა, მაშინ როდესაც საჭირო ნება-რთვის დაგვიანების გამო დღემდე ტფილისის ბანკში გადაგირავდა ქუთაისის მამულები ექვსასი ათასს (600,000) მანეთზე მეტისა. რადგან ქუთაისის ბანკის წესდების ძალით ყოველი მსესხებელი, სარგებელს გარდა, ყოველ წლიურად იხდის ბანკის სასარგებლოდ 1%: ა) საჭირნახულო თავნის შესადგენად, ბ) ბანკის მართვის სახარჯოდ და გ) იმ თავნის შესადგენად, რომელიც დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის მიწის-პატრონთა საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად,—ამისათვის ტფილისის ბანკში 600,000 მანეთის მამულის გადასვლით ქუთაისის ბანკი ჰკარგავს ყოველ წლივ ექვსი ათასს (6,000) მანეთს. ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, რამდენი ათასი მანეთი სესხი მისცა ამ მამულებში ტფილისის ბანკმა, ვიცით-კი, რომ იმ ბანკმა ყოველ შემთხვევაში გაიბათილა ამ მამულებზე დარჩენილი ჩვენის ბანკის ვალი 300,000 მანეთზედ მეტი, მაგრამ ჩვენის ბანკის ზარალის გამოსაანგარიშებლად ჩვენ ავიღეთ 600,000 მანეთი, ე. ი. ის ჯამი, რომელიც თავდაპირველად გაცემული იყო ამ მამულებზე ქუთაისის ბანკიდგან და რომლის კვალობაზე სესხის საბოლოოდ მოსპობამდე ბანკს უნდა აელო ყოველ წლივ ხვედრი გადასახადი. ამ ნაირად მარტო იმ მამულებზე, რომელნიც უკვე გადატანილნი არიან ტფილისის ბანკში, ჩვენი ბანკი ჰკარგავს წელიწადში 6,000 მანეთსა და ამ მოკლე ხანში ამ ზარალის რაოდენობა კიდევ უფრო შესამჩნევად იმატებს, ერთი ორად და ერთი სამად გახდება, რადგან ტფილისის ბანკის ხელში კიდევ არის ქუთაისის მემამულეთა განცხადებანი მამულების გადაგირავების შესახებ არა ნაკლებ სამასის ათასის მანეთისა და ქუთაისის უფროს ნოტარიუსსაც საქმე გაჭირვებული აქვს თხოვნების სიმრავლით დასაგირავებელ მოწმობათა მიცემის თაობაზედ. ამას ჰკარგავს ქუთაისის ბანკი.

რაც შეეხება თვით მსესხებლებს, თქმა არ უნდა, რომ ქუთაისის მცხოვრებთათვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო, ქუთაისში ჰქონოდათ მამული დაგირავებული, ვიდრე ტფილისში. მხოლოდ გაჭირვებამ, მხოლოდ ბ-ნ ქუთაისის ბანკის მმართველის უზრუნველობამ და წინდაუხედავობამ გარეკა ისინი ქუთაისის ბანკიდან.

აგრეთვე დროზე რომ კრედიტი მოგვმატებოდა და ბათუმის მამულებზე სესხის გაცემის უფლება მოგვნიჭებოდა, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენი ბანკი დიდს მოგებას ჰნახავდა, რადგან ბათუმელებსაც ქუთაისი უფრო დაემხრობა, ვიდრე ტფილისი. ახლა-კი მრავალი ძვირფასი ბათუმის მამული დაგირავდა ტფილისის ბანკში და დავკარგეთ ის მოგება, რომლის მიღებაც შეგვეძლო. ბანკის სათავეში რომ საქმის ერთგული კაცი გვყოლოდა, შეიძლებოდა ბანკსაც ბევრი მოეგო და მსესხებლებსაც დიდი შეღავათი მისცემოდათ.

მაგრამ ბ-ნ ჩიქვაიძეს ბანკის ამდენის საქმეების გაგება და მათ კარგად წაყვანის სურვილი რომ ჰქონოდა, შეეძლო და ვალდებულიც იყო, სხვანაირადაც შეემსუბუქებინა მსესხებლების მდგომარეობა, სხვა-გვარი შეღავათიც მიეცა მათთვის. საქმე ის არის, რომ გრძელვადიან სესხს ბანკი იძლევა გირავნობის ფურცლებით, გირავნობის ფურცლები არიან ექვს-პროცენტიანი (6%) და ხუთ-პროცენტიანი (5%). იმ გირავნობის ფურცლებით, რომლითაც ბანკი იძლევა გრძელ ვადიან სესხს 43 1/2 წლით ან 18 წლით და 7 თთვით, ბანკი იხდის 6% და ამავე სარგებელს ახდევინებს მამულის დამგირავებელსაც, რასაკვირველია, იმ 1% გარდა, რომელსაც ბანკი თავისს სასარგებლოდ და საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ახდევინებს. რომ ბანკი თავის გირავნობის ფურცლებზედ ნაკლებს სარგებელს იძლეოდეს, მამულის დამგირავებელსაც ნაკლები სარგებელი გადახდება. ამ სამის წლის წინად რუსეთის სათავად-აზნაურო ბანკებმა მოინდომეს, მოეხდინათ თავიანთ ექვს-პროცენტიან გირავნობის ფურცლების კონვერსია, ესე იგი ექვს-პროცენტიან გირავნობის ფურცლების ხუთ-პროცენტიანებზედ გადაცვლა, რათა შეემცირებიათ ერთის პროცენტით წლიური სარგებელი. სამინისტრომ თანაგრძნობით მიიღო ეს მათი სურვილი და ხელს უწყობდა ამ აზრის განხორციელებას. ბევრმა რუსეთის ბანკმა ისარგებლა ამ გარემოებით და თავის დროზე, პირველ შეძლებისათანავე, მოახდინა კონვერსია, რომლითაც მსესხებლებს დიდი შემსუბუქება მიეცათ, რადგან ახლა ერთის პროცენტით ნაკლები

რი, ღვინო, ცივი, წვნიანი, შემწვარი—ყველაფერი დაუყარა წინ. ჩაუჯდა შუაში და ატარებინებს დროს. მოხევეები კრძალვით ეკიდებიან და ვერ გაუბედნიათ ჰკითხონ ვინაობა. სანდრო მეტად გაუმხიარულდა მოხევეებს და ეკითხებოდა სტეფანწმინდელების, ქვეშელების და სხ. მოხევეების ამბავსა. მაშინ ერთმა მოხევემ ჰკითხა: მიხეილის შვილი ყაზბეგი ხომ არა ხარო.

— ჰაი, ჰაი რო ვარო, მიუგო სანდრომ. მხოლოდ ახლა მოულხინეს გულწრფელად მოხევეებმა. იმ ერთი თუმნით კარგათ გაუმასპინძლდა მოხევეებს და წამოვედით შინ ცარიელ-ტარიელნი.

მოვედით შინ, მაგრამ უნდა გენახათ, რა სიხარულით და ხიხინით მოგვეგება ჟაკო! ძილით რო გამაძღარიყო, სახლი ისე მიელუფხ-მოელუფხნა, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა: რაგინდარათი სავსე საწერი სტოლი ცოცხ-მოსმული იყო; საწერელი, კალამი, კარანდაში, მელნის საშრობი, ქაღალდები, წიგნები, რვეულები ერთიანად აქეთ-იქით იყო ნატყორცნი და ნაღრღენი. სანდროს არამც თუ ეწყინა ჟაკოს ესრეთი თავხედობა, არამედ პირიქით დაუწყო კოცნა და გულში მიიკრა. მე ცალკე ვეძებდი ჟაკოსაგან აქეთ-იქით ნატყორცნს ნივთებს, სანდრო ცალკე. გაგვიცილებდა საითმე თუ არა, ჟაკო თითო ეშმაკობას რასმეს ჩაიდენდა: მელანს დაღვრიდა და პირისახეს მოითხუპნიდა; კალამს, კარანდაშს, და დანას დაგვიმალავდა და ძებნას რო დავიწყებდით, განზედ გადგებოდა ორ ფეხზედ ამართული და ხიხინებდა. ჟაკო მართლაც დიდი ნუგეში იყო სანდროსთვის; მხოლოდ იგი იყო მისი გამამხიარულებელი და გუნებაზედ მომყვანი.

ერთხელ ჟაკოს თავის ცელქობა ძვირად დაუჯდა. თურმე ნუ იტყვით, პაპიროსი ჩაუდვია პირში და ცდილა სპიჩქის ანთებას. რომ ვერ მოეხერხებინა, მთელი კოლოფი სპიჩქა დაეღრღნა და შეეჭამა. მოველ შინ. ჟაკო გდია სტოლის წინ იატაკზედ და თავს აწყვეტავს. მეგონა ხუმრობს მეთქი. მალე შევატყე, რომ სასიკვდილოდ იყო გაწირული ჩვენი ცელქი ჟაკო. მაშინვე ჩაველ „დროების" რედაქციაში და შევატყობინე სანდროს—ჟაკო კვდება მეთქი.

— როგორ, თუ კვდებაო, დ[ა] გაექანა მაღლა კიბეზედ. სანდრო მალე მიხვდა ჟაკოს უქეიფობის მიზეზს: აიყვანა ხელში და რედაქციაში ჩამოარბევინა.

განსვენებულმა სერგეი მესხმა უთხრა:

— ე ფელეტონი დაასრულე („მამის მკვლელი"), რა დროს ეგ არი!

— დავასრულო-კი არა, ლამის თავი მოვიკლა, ჟაკო სპიჩქით მოწამლულა. გეთაყვა, ყური უგდეო, და გაექანა გარეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიყვანა ექიმი და მოარჩინეს. ამის შემდეგ, ექიმის რჩევით, ჟაკოს ანაბარა აღარ აგდებდა სახლსა: უყიდა მავთულის გალია და ამწყვდევდა ხოლმე შიგ, სხვაგან რო წავიდოდა სადმე.

პ. ცხვილოლელი

10 დეკემბერი

# ახალი ამბავი

*** ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო რედაქციაში მრავალი დეპეშა მოგვივიდა ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხიდამ და აგრეთვე რუსეთის იმ ქალაქებიდამ, საცა მოსწავლენი და სტუდენტობაა. დეპეშების სიას და ზოგიერთს საყურადღებო დეპეშის ტექსტს შემდეგ დავბეჭდავთ.

*** ორშაბათს, 13 დეკემბერს, დაფიცებულ იქმნენ ქალაქის გამგეობის წევრნი დ. დ. ხოსროევი, ა. ა. ივანენკო და თავადი პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელთა შორის უკანასკნელი, როგორც პირველად არჩეული წევრად, ორშაბათსვე შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** ჩვენ მოგვივიდა დიდ წიგნად დაბეჭდილი ანგარიში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მოქმედებისა 1892 წლის განმავლობაში, რომელიც კომიტეტს წარუდგენია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობისათვის.

*** ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. კრებაზედ წაიკითხვენ თავიანთ რეფერატებს: დოსტაქარი და ჯარა ექიმი კარპაჩენკო, მკურნალი ურაზოვი, შეინ-ფოგელი და პანჩენკო.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ ხოლერასთან საბრძოლველად წელს დაიხარჯა 43,595 მანათი და 43 კაპეკი.

*** ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ მოსკოვის პეტრე-რაზუმოვსკის აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი კავკასიელნი, რომელთა შორისაც ორნი ქართველნი არიან, თ. ჩოლოყაშვილი და ბ-ნი ჟურული. ამ აკადემიაში წრეულს მხოლოდ მეოთხე კურსი[ა]და იყო და ეხლა უკვე სრულიად დაუკეტიათ.

*** ქუთაისიდგან გვაუწყებენ, რომ იქ გარდაცვლილა შორაპნის მომრიგებელი შუა-კაცი პოლკოვნიკი ავალიანი, რომლის ადგილზედ, როგორც ხმა დადის, ინიშნება ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის კანდიდატი, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. დავით ოტიას ძე ნიჟარაძე.

*** იმერეთი: ამას წინად რომ გწერდით, ჩვენსკენ ერთს სოფელში მდივანბეგი-მწერალი გაბატონებულა მეთქი, ახლა გადააყენეს მდივანბეგობიდამ. მეტის-მეტად გაკადნიერდა და მოუკრებავში გადაერია. მამასახლისის ბეჭედი გაიჩინა და უტკაცუნა, სადაც ჯერ იყო და სადაც ჯერ არ იყო. „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ვაი თუ ეს სახარბიელო ბატონი აქედამ ასკუპდეს და ახლა სხვაგან დასკუპდეს! დასკუპდეს სხვაგან და ახლა იქ დაიჩემოს თავისი თანამდებობა. ამისთანა სამსახურში ხომ ნამსახურობის ქაღალდს არ ითხოვენ. წარმატებულს ქვეყანაში-კი მზარეულსაც არ დაიჭერენ, თუ კარგი რეკომენდაცია არა აქვს. ჩვენში რეკომენდაციას არავინ დაგიდევს.

*** ქუთაისი: გუშინ-წინ, 11 დეკემბერს, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა გადიხადა პარაკლისი ახლად გამართულს ქუთაისის სამეურნეო სკოლაში. ხალხი მრავალი დაესწრო.

ალ. ყაზბეგის სიკვდილმა დიდად შეაწუხა მთელი საზოგადოება ქუთაისისა.

*** გუშინ-წინ, 12 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა დ. ერისთვის დრამა „სამშობლო", ბ-ნ კ. ყიფიანისა და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. თეატრის დარბაზი თითქმის სავსე იყო. დრამამ საუცხოვოდ ჩაიარა, მეტადრე კარგები იყვნენ ქ-ნი ავალიშვილისა ქეთევანის როლში, და ბ-ნნი ყიფიანი და ალექსი-მესხიშვილი.

*** ბარის-ოსეთი: ბარის ოსეთში სიმინდის ფასი დაეცა. აბაზადაც არავინ ჰყიდულობს. ამის გამო საშინელი უფულობაა. გლეხებს არბევენ სოფლის მოხელენი და ისე ახდევინებენ გადასახადს.

წითელა და ყვავილი მოისპო აქეთ, ქურდობა-კი არ ისპობა.

ამას წინად ერთს სოფელში ერთს ოსს, რომელსაც არაყი გამოეხადა, ეწვია აქციზის მოხელე. სახლის პატრონმა თავი მოიავადმყოფა, ჩაწვა ლოგინში, არაყით სავსე ტიკი თავით დაიდო მუთაქად და დაიწყო ბაბანი. ასე გადაირჩინა თავი მოხერხებულმა ოსმა. შარშან სოფელ არდონში სცემეს აქციზის მოხელეს და ამის გამო შემდგარი საქმე ჯერაც არ გათავებულა. ახლა კიდევ სხვასა სცემეს და ამის გამო ეგზეკუცია სდგას ამ სოფელში. ათი ცხენოსანი ყაზახია. დიდი ჭამა-სმა უნდებათ. ამას გარდა თითოსთვის 45 მან. ჯამაგირს ახდევინებენ სოფელს. სოფლისავე ხარჯით არის იქ აქციზის მოხელე ჩაყენებული. ამას წინად ამავე სოფელში ორი ოსი აფიცერი წაიჩხუბა და ხანჯლით მიჰმართეს ერთმანერთს. ჩხუბში დასჭრეს სასიკვდილოდ ერთი გამშველებელთაგანი.

*** ფოთი: 12 დეკემბერს 4 გემი მოვიდა ჯარების ნუზლ-სურსათითა და 4 გემი შაქარი, ტფილისში გამოსაგზავნად.

*** ბათუმი: 11 და 12 დეკემბერს გემით მოვიდა 1965 ახლად მოკრეფილი ჯარის კაცი და იგზავნებიან ქუთაისისა, ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებში.

*** რიონი: 9 დეკემბერს, როდესაც ბათუმიდგან სახალხო მატარებელი მოუახლოვდა რიონის სადგურს, ჟანდარმმა შეამჩნია, რომ ერთს ვაგონში კაცი იწვა და იქვე მყოფს სამს მგზავრს ჰკითხა, ვინ არის ეს კაციო. იმათ უპასუხეს, ჩვენი ნათესავია, გზაში უცბად გარდაიცვალა, გვინდა რიონში დავტოვოთ და მერე ქუთაისის გუბერნატორს ვთხოვოთ, ნება მოგვცეს აქვე დავასაფლავოთო. მატარებელი გაჩერდა რიონის სადგურთან, ის მგზავრები უცებ გადახტნენ მატარებლიდგან, ჩასხდნენ ქუთაისს მიმავალს მატარებელში და წავიდნენ. მიცვალებული-კი ვაგონში დასტოვეს. ექიმმა ნაზაროვმა გვამი გასინჯა და ნიშნები არა აღმოჩნდა რა იმასი, რომ ძალით ყოფილიყოს მოკლული. გარდაცვალებულის ვინაობა ჯერ არ იციან. ჰფიქრობენ, ეს კაცი ვაგონში-კი არა, სადმე სოფელში გარდაცვლილა და სხვაგან თუ მიჰქონდათ დასასაფლავებლადაო. ნამდვილი გარემოება-კი ამ საქმისა ჯერ არავინ იცის.

*** გაზ. »Русская Жизнь«-ის სიტყვით, კვლავ ლაპარაკია ჩამოგდებული კავკასიის მთავარ-უღელტეხილზედ რკინის გზის გაყვანის შესახებ. საფრანგეთის სააქციონერო საზოგადოებას წინადადება შეუტანია, სადაც ჯერ არს, რომ ჩვენ გავიყვანთ მაგ რკინის გზას და არც არავითარი თავდებობა გვინდა რკინის გზის საქმის უკედ წარმართვისა, ოღონდ-კი ხანგრძლივის ვადით იყოს რკინის გზა ჩვენს ხელშიო. ამ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ყოველ წლივ კავკასიაში იმდენს მოგზაურს მოვიზიდავთ, რამდენიც საზღვარ-გარეთის დისათვალიერებლად დადის.

*** ამ ახლო ხანში რუსეთის მინისტრთა კომიტეტმა უნდა განიხილოს საგანი, თუ როგორ უნდა იქმნას მოწონებული ახალი წყარო არა საერობო გუბერნიებში პირველ დასაწყის სასწავლებლების გასამრავლებლადო. ფინანსთა სამინისტრო

---

უნდა ეხადათ სარგებელი.

1891 წელს ჩვენის ბანკის საზოგადო კრებაში შეტანილი იყო წინადადება, რომ ჩვენც მოგვეხდინა კონვერსია და ჩვენის ბანკის მსესხებლების მდგომარეობაც ამით შეგვემსუბუქებია. კრებამ, რასაკვირველია, მიიღო ეგ წინადადება და მიანდო გამგეობას ამ საქმეს წასძღოლოდა. მაგრამ ჩვენის ბანკის მმართველს არ ესმოდა ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა. ორის წლის განმავლობაში მან არავითარი მსვლელობა არ მისცა ამ საქმეს და დარწმუნებულნი ვართ, რომ არც შეეძლო ამ საქმის წაძღოლა. მართალია, ტფილისის ბანკსაც დაუგვიანდა კონვერსიის მოხდენა და პირველი მარჯვე დრო სრულის კონვერსიის მოსახდენი დაჰკარგა, მაგრამ ბოლოს მაინც მოასწრო ნებართვის მიღება, რომ ნაწილ-ნაწილად, თავისუფალ თავნის ფულის მიხედვით მოეხდინა ექვს პროცენტიან გირავნობის ფურცლების კონვერსია. როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამ გვარ შესაზღვრულ უფლებასაც მნიშვნელობა აქვს მსესხებელთათვის.

მოხდებოდა თუ არა კონვერსია, ბ-ნ ჩიკვაიძეს, როგორც ბანკის მმართველს, მეცადინეობა მაინც არ უნდა დაეკლო. მან-კი სრული ორი წელიწადი უქმად გაატარა, არამც თუ ნებართვა არ მიუღია, სრულიადაც-კი არ აღუძრავს ეს კითხვა. ისიც კი ძალიან საეჭვოა, რომ ამ ბოლოს ჟამს მაინც, პეტერბურგში ყოფნის დროს, გამოეჩინოს ამ საქმის შესახებ რაიმე მეცადინეობა. მაისში საზოგადო კრების დროს ბ-ნმა ჩიკვაიძემ მხოლოდ გაურკვევლად სთქვა, კონვერსიის შესახებ-კი ასე მითხრეს პეტერბურგში, ახლა არ მოხერხდებაო. კარგი, ვსთქვათ, სრული კონვერსის მოსახდენად მარჯვე დრო დავკარგეთ, განა არ შეიძლებოდა, იმ გვარივე უფლება მაინც მიგვეღო, როგორიც ტფილისის ბანკმა მიიღო. ამასაც თავის მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთის. რა-კი კონვერსია ვერ მოვახდინეთ, ახლა მსესხებლებს მხოლოდ ერთი გზა-ღა დარჩენიათ, რომ ექვს-პროცენტიანი სესხი ხუთ-პროცენტიანად აქციონ. ეს გზა—გადაგირავებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა ისეთივე ხარჯი, რაც დაგირავების დროს, საჭიროა დასაგირავებელის მოწმობის (залоговое свидѣтельство) აღება. ამას გარდა ყოველი გადაგირავება ახალ სესხის გაცემად ითვლება და ამიტომ იმ სამასის ათასის მანეთის ანგარიშში შედის, რომლის წლიურად გაცემის ნება აქვს მხოლოდ მინიჭებული ჩვენს ბანკს, და ამით ეს, უიმისოდაც მცირე კრედიტი, კიდევ უფრო მალე ილევა. რომ ჩვენს ბანკს წვრილ-წვრილად კონვერსიის მოხდენის ნება მაინც მიეღო, შეეძლო, მამულების გადაგირავების ნაცვლად, წვრილ-წვრილად მოეხდინა რამდენისამე ათი ათასის მანეთის სესხის გირავნობის ფურცლების კონვერსია, რადგან ჩვენს ბანკს ამ კონვერსიისთვის საჭირო ფულის მოხერხება ყოველთვის ექნებოდა. ამ შემთხვევაში გადაგირავების მაგიერ მომხდარი კონვერსია უიმისოდაც მცირე წლიურს კრედიტს არ დააწვებოდა და არც იმდენს ხარჯს მოითხოვდა მსესხებელთაგან.

ზემოდ უკვე ვილაპარაკეთ, თუ რა მნიშვნელობა ექმნებოდა კონვერსიის მსესხებელთათვის, რომელთაც ექვსი პროცენტის მაგიერ უნდა ეხადნათ ბანკში ხუთი პროცენტი. ამ გვარადვე მიიღებდა შემსუბუქებას თვით ბანკიც, როგორც პატრონი ბანკში დარჩენილ მამულებისა, რადგან ამ მამულების გირავნობის ფურცლების სარგებელს თვით ბანკი იხდის. რადგან ჩვენის ბანკის მსესხებლებზე ითვლებოდა ექვს პროცენტიანი სესხი სამ მილიონზედ (3,000,000) არა ნაკლები, ამისათვის ჩვენს ბანკს რომ სრული კონვერსია მოეხდინა, ყველა მსესხებლების ყოველწლიური გადასახადი შემცირდებოდა ოცდაათი ათასი (30,000) მანეთით. აი ამას ერქმეოდა მსესხებელთა ტვირთის ნამდვილი შემსუბუქება.

მაგრამ ბ-ნ კალ. ჩიკვაიძეს იმდენი უნარი არა აქვს, რომ საქმეს ცოტათი მაინც ვრცლად შეხედოს და რაიმე საზოგადო ღონისძიებანი მიიღოს მსესხებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესობლად ან ბანკის საქმეების კეთილად წასამართველად! ის იმას ფიქრობს, მსესხებლებს თვალი აუბას და გული მოუგოს მხოლოდ იმითი, რომ ბანკში სარგებლის შეტანის დროს რამე დაუკლოს ბანკში შესატან ფულზე, ან სულაც ადროვოს ხვედრ გადასახადის შეტანა.

რასაკვირველია, ბანკს შეუძლია გაჭირვებულს კაცს შეღავათი მისცეს, თვით კანონი ბანკის მმართველობას უფლებას აძლევს, რომ ზოგიერთს შემთხვევაში მიიღოს მსესხებელთაგან მხოლოდ ნაწილი გადასახადისა, ან სულაც ადროვოს მომავალ ვადამდე. ეს შემთხვევანი დასახელებულია ბანკების ნორმალურ წესდებაში: როდესაც მსესხებელი დაზარალებულთა ან სეტყვისა, ან ცეცხლისა ან წყალდიდობის გამო, ან როდესაც მსესხებლის ოჯახს პატრონი უკვდება, ან ავად უხვდება მძიმესა და ხანგრძლივის სენით, ამგვარს შემთხვევებში შეღავათს მართლადაც თავისი საბუთი აქვს, საზო

გაზ. „С.-Петрб. Вѣдомости“-ს სიტყვით იმ აზრისაა ამ საგნის შესახებ, რომ კარგი იქმნება განსაკუთრებული გარდასახადი იქნას შემოღებული კაცის თავზედ სასწავლებლისთვის საჭირო თანხის შესადგენად, რადგან დიდი უსამართლობაა ამ ხარჯის საზოგადო საერობო თანხიდგან გაღებდა.

## დამაკვირდი

—

მხოლოდ ის ადამიანია თავისუფალი, ვინც სავსებით აღიარებს თავისს ადამიანურს ღირსებას, თავისი თავი კეთილშობილად მიაჩნია და სცდილობს კიდეც დაიცვას ეს ღირსება და კეთილშობილება; მხოლოდ ის არის თავისუფალი, ვინც თითონვე ჰსწონავს თავისს ფიქრებს და აზრს, ვინც სხვის ნათქვამს არ იმეორებს, როდესაც ეს ნათქვამი არ ესმის; ვისაც ახსოვს უფლის მიერ მის გულში ჩაჭედეული კანონი და ამ კანონს არა ჰლალატობს, რაც უნდა განსაცდელს მოელოდეს.

აუერბახი

**

ვისაც მწვავი სიტყვა არას უზამს, იმას ჯოხიც ვერას უზამს.

სოკრატი

**

უცაბედად, მოულოდნელად მიადგება ადამიანი სამარის კარს, ისე, როგორც გულ-მავიწყი კაცი თავისის სახლის კარს მიაწყდება ხოლმე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

რუსეთში დაიბეჭდა ცალკე წიგნად ლექციები მოსკოვის უნივერსიტეტის განსვენებულ პრივატ-დოცენტის ა. შახოვისა საფრანგეთის ლიტერატორთა შესახებ. ამ წიგნში სხვათა შორის დაბეჭდილია შემდეგი აზრი შახოვისა ჰეინესა და ბერნეს შესახებ.

ჰეინე ძლიერ უკვირდებოდა ცხოვრებას და ამასთანავე იგი სკეპტიციციზმით სავსე ხელოვნებით ხატავდა თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ ჰეინეს არ მოეპოვება ძარღვი სოციალურ ცხოვრებისა, არ მოეპოვება ზნეობრივი ინსტიქტები. ჰეინეს აკლია ძლიერი და მტკიცე თავისი აზრი საზოგადო ცხოვრების შესახებ. იგი კაცია გონებისა, სიტყვისა, ანალიზისა, ფანტაზიისა და ხელოვნებისა. ხოლო ბერნე იყო პროპაგანდისტი, წინასწარმეტყველი, მწვალებელი, ერთის სიტყვით, კაცი პრაქტიკისა. ორთავეს თავისი ნაკლი აქვს. შეიძლება ბერნეს თავის აზრებით გატაცებულს ბევრი შეცდომა მოსვლოდეს. ჰეინე-კი ყოველთვის ხელს უშლიდა ყოველ გვარ საქმეს. ეჭვი არ არის, ამ ორთა შორის ზნეობრივის მხრით, რომელი უფრო მაღლა სდგას.

—

ამას წინად სასამართლომ ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტა ქ. ურალის პოლიცმეისტერს სარატოვცევს, რომელსაც ათასი რამ ჰბრალდებოდა, სამსახურის დროს ჩადენილი: ქრთამები ელო, ჯამაგირები ჩაეჯიბნა და სხ. სამართალშივე იყო მიცემული ამ პოლიცმეისტრის ცოლი, რომელსაც შემოსავლის გასაძლიერებლად სასმელის დუქანი ჰქონდა თურმე გაღებული, უზნეო ქალთა სახლი, და ვაჭრებისათვის ნისიად ერთმევინა საქონელი და ფული აღარ ეძლია. ეს ამდენი ბოროტ-მოქმედება ერთმა უბრალო გარემოებამ აღმოაჩინა, აქამდე-კი ქ. ურალსკის საზოგადოებამ იცოდა თურმე ეს ამბავი, მაგრამ დიდის თავაზითა და პატივის-ცემით ეპყრობოდა თავისს პოლიცმეისტერს.

დიაღ, იცოდნენ, ჰლაპარაკობდნენ კიდეც, დრტვინავდნენ კიდეც, მაგრამ აქედგან არა გამოდიოდა-რა. ისეთი კაცი არავინ იყო, რომ საჯაროდ, საქვეყნოდ გამოემჟღავნებინა ეს ამბავი, ჩუმად ჰჩორიკანობდნენ, მითქმა-მოთქმა ჰქონდათ, მაგრამ იმათი ლაპარაკი არ აღწევდა ისეთის კაცის ყურამდე, რომელიც პოლიცმეისტერზედ ძლიერი ყოფილიყო, იქნება აღწევდა კიდეც და ჰყრებს ყურს არავინ უგდებდა, ვინ იცის.

რუსული გაზ. „Недѣля“ შეეხება ამ ამბავს და ამბობს:

თუ გვინდა, რომ ამისთანა შემთხვევაში მართალი გამომჟღავნდეს, დასტამბულს სიტყვას უფრო მეტი უფლება უნდა მიეცეს... იმავე კორესპონდენტს, რომელიც ეხლა იწერება ამ ამბავს, სასამართლოში საქმის გარჩევის შემდეგ, ხომ შეეძლო სამართალს ადრეც ეუწყებინა, ამ რამდენისამე წლის წინად, როდესაც ცოლ-ქმარნი სარატოვცები ახლად იწყებდნენ თავისს სამარცხვინო ბოროტ-მოქმედებას. ეს კორესპონდენცია მიაქცევდა ამ ამბავს იმის ყურადღებას, ვისაც ჯერ არს და ბოროტ-მოქმედება სათავეშივე იქმნებოდა აღკვეთილი. კარგი, მაგრამ განა შესაძლებელია, რომ ასეთის შინაარსის კორესპონდენცია დაიბეჭდოს სასამართლოში საქმის გარჩევამდე პროვინციის რომელსამე, თუნდა სატახტო ქალაქის გაზეთში? არც ერთი რედაქცია არ დაჰბეჭდავს 1039 მუხლის შიშით, იმის შიშით, რომ სამართლის თქმას არავინ შეგვინდობს. ეხლა-ხან არ იყო განა, რომ ერთს ქალაქში საჩივარი შეიტანეს გაზეთზედ, რომელიც ცენზორის ხელ-მოუწერლად არ იბეჭდება და ამის გამო რედაქტორს ადგილობრივმა მთავრობამ დიდი საყვედური უთხრა, ხოლო სასაყვედურო წერილის დამწერი-კი იძულებული შეიქმნა იმ ქალაქიდგან წასულიყო სადმე? ეხლა-ხან არ იყო, რომ რედაქტორს „Гражданинъ“-ისას, რომელიც მგონი საკმაოდ საიმედო და კეთილის მიმართულების გაზეთია — სამართალში მისცეს დიფამაციებისათვის? პალატამ სასტიმრო გადაუწყვიტა და მერე სენატში ძლივს გაიმართლა თავი, თუმცა მის მიერ გაკიცხულ კაცის საქციელი მართლა შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდა...

## რუსეთი

—

ვილინსკის გუბერნატორმა 12 ნოემბერს დაუგზავნა ცირკულიარი პოლიცმეისტრებსა, მაზრის უფროსებს და ადმინისტრაციის სხვა მოხელეთ. ცირკულიარში ნათქვამია, რომ შემოდგომის პირზედ ძლიერ ხშირდება ხოლმე მთელს გუბერნიაში კაცის კვლა, ქურდობა, ცეცხლის წაკიდება და სხვა მრავალი ავაზაკობათ. ამის მიზეზი არის ერთის მხრით სამუშაოს უქონლობა და მეორეს მხრით ნაკლებად თვალ-ყურის გდება ადმინისტრაციის მიერ. ამიტომ გუბერნატორმა მისწერა ადმინისტრაციის მოხელეთ ყოველგვარი ღონისძიება იხმარეთ გუბერნიაში ავაზაკობის მოსასპობლადო. გუბერნატორის აზრით საჭიროა ქალაქებსა და სოფლებში პოლიციამ ღამე იაროს ხოლმე.

—

ექიმს ა. ი. სოლოვიოვს შეუკრებია საყურადღებო ცნობანი, რომლებიდგანაცა სჩანს, როგორ იკვებება პეტერბურგის სტუდენტობა. ექიმმა გამოჰკითხა 302 სტუდენტს და აღმოჩნდა, რომ ამათში 62 კაცი ოჯახში სადილობს, 51 თავიანთ სახლის პატრონთან, 10—ნორმალურ სასადილოში, 26—„სადაც მოხვდებათ“ ღ ნახევარი მათგანი (153) —საჭმელის დუქნებში. უმეტესობას (241 კაცს) სადილად ორი თავი საჭმელი აქვს ხოლმე, 20 კაცს ერთი თავი საჭმელი, 17 კაცს 3 თავი საჭმელი; 4—5 თავი საჭმელი მხოლოდ 2 კაცსა აქვს ხოლმე სადილად. ყველანი ვერ იტყვიან, მაძღარნი ვართ ხოლმეო; ამათი რიცხვი 80% არ აღემატება, სადილის ფასი 9—62 კაპეიკამდე ჯდება.

სადილს გარდა სტუდენტთა უმრავლესობას (232) დილის ჩაისთან აქვთ თეთრი პური. 39 კაცს საუზმე აქვს ხოლმე, 30 კაცი დილაობით სულ არასა სჭამს. საღამოთი 187 კაცს ჩაი აქვთ თეთრი პურით, 74 კაცს საუზმე, 8 კაცს ვახშამი, 27 კაცი უპუროდა სვამს ჩაის. 302 კაციდგან 176 თამბაქოს ეწევა. 43 კაცი მაგარ სასმელებს არა სვამენ. კუჭის მოშლით ავადმყოფობს 42 კაცი. 141 კაცს შეუჩივლია ექიმისთვის, კარგი ჭამა-სმა არა გვაქვს და ამიტომ ჩვენი კუჭები სასმელს ვერ ინელებენო.

იგივე ექიმი ამბობს, სწავლას ხალისით მხოლოდ 207 კაცი იწყობს ხოლმე და ამათში ერთის წლის შემდეგ ძლიერ კარგია რომ ეს ხალისი 96 კაცს შერჩესო.

## უცხოეთი

—

**ავსტრია.** ზემო პალატაში ლანდვერის შესახებ კანონ-პროექტის გამო კამათობის დროს მთავარ შტაბის უფროსმა ბეკმა სთქვა, ავსტრია უნდა ეცადოს გააძლიეროს თავისი ჯარი, ვიდრე ისეთი ჯარი არ ეყოლება, როგორიცა ჰყავს საფრანგეთსა, გერმანიას და რუსეთს.

—

ავსტრიის პალატაში ახალ-ჩეხთა მეთაურმა გრეგრმა პალატაში საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა პრაგაში საფრთხილო წესის შემოღების გამო და სხვათა შორის სთქვა:

მე უარს არა ვყოფ, რომ პრაგაში მართლა ისეთი უწესოება მოხდა, რომელშიაც კანონი უნდა ჩარეულიყო, მაგრამ, ჩემის აზრით, ის უწესოება არ მოხდებოდა, ხალხი რომ კმაყოფილი ყოფილიყო და ავსტრიის რეჟიმი წინააღმდეგი არა ყოფილიყო სამართლიან მოთხოვნილებათა.

ორატორმა სხვათა შორის სთქვა კიდევ, ბოჰემიაში მომხდარ უწესოებასთან ბრძოლა შესაძლებელია ყოველ გვარ სხვა საშუალებით, გარდა საგანგებო კანონებისა. დამნაშავეთა დასასჯელად მთავრობას ხელთ აქვს ათას გვარი საშუალება, და რაც შეეხება საგანგებო კანონებს, ეს კანონები უფრო მეტს უკმაყოფილებას დაჰბადავს ბოჰემიაში. ამას იმიტომ ვამბობ სთქვა გრეგრმა, რომ ვენაში კარგად იცოდნენ, რას ფიქრობს ხალხი, რადგანაც ის-კი არ ემსახურება ტახტს ერთგულად, ვინც ხალხის უკმაყოფილებასა მალავს, არამედ ის, ვინც ყველაფერს დროზედ აუწყებს მთავრობას და დაწვრილებით უამბობს მას ხალხის უკმაყოფილებას და იმის მიზეზს. ჯერ ჯერობით ვერ ვიტყვითო, სთქვა გრეგრმა, რომ ჩეხის მთელი ერი იყოს ავსტრიის წინააღმდეგი, მაგრამ თუ საქმის აწინდელმა ვითარებამ კიდევ რამდენსამე თთვეს გასტანა, უერთგულესი მოქალაქენიც-კი წინააღმდეგნი შეიქმნებიან მთავრობისა. 1871 წლიდგან ჩეხიას მძიმე ტვირთი დაეკისრა სახელმწიფოსი. ამ ტვირთს ჩეხია მხოლოდ მაშინ აიტანს, როცა ამ ტვირთთან ერთად უფლებანიც მიენიჭება. ავსტრია ვერ მოსთხოვს ყველას მამულის სიყვარულს, თუ ჩეხია თავის თავს ბედნიერად ვერა ჰგრძნობს ბოჰემიაში, ტიროლელი ტიროლში და პოლონელი გალიციაში. ბოჰემიაში უწესოება მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ავსტრიის რეჟიმი ჩეხებსა სთხოვდა მთელის ავსტრიის სიყვარულს და თვით ჩეხებს-კი თავისუფლება მოაკლო. ავსტრია—ეს მხოლოდ საზოგადო სახელია. თითოეულ

---

გადოდ, ყველასთვის-კი ამისთანა წესის შემოღება, როგორც არის ახლა ქუთაისის ბანკში, უფრო უწესობაა და მავნებელია, როგორც ბანკისათვის, ისე მსესხებელთათვისაც. რაკი ეცოდინებათ, რომ შეიძლება ხვედრი გადასახადი მთლად არ შეიტანონ, მცირე წილსაც დასჯერდებიანო, არასოდეს იმდენს აღარ შეიტანენ, რის შეტანაც შეუძლიათ. ნეტავი თვით მსესხებელთათვის მაინც ჰქონდეს რაიმე სარგებლობა ამ ნაირ წესების შემოღებას. კარგი, ვთქვათ, მაგალითად, დღეს ასის მანეთის ნაცვლად მიიღეს თქვენგან ოთხმოცი მანეთი, იმ დანარჩენს ოც მანეთს ხომ ბანკი ვერ შეგაწევთ, მომავალ ვადისათვის იმასაც მოგთხოვთ, მაგრამ მაშინ ასი მანეთის ნაცვლად ას-ოცი გექნებათ გადასახადი. ვთქვათ, მაშინაც დაგიკლეს და ოთხმოც-და-ათს დაგჯერდნენ. ოც-და-ათი თქვენზე დარჩება და შემდეგ ვადისათვის ას-ოცდა და ათი მანეთი გექნებათ გადასახადი და ასს მანეთზე ნაკლებს ბანკი მაინც ველარ მიიღებს. მაგრამ იმ ფულზე, რომელიც გადაუხდელი გრჩებათ, თქვენ იხდით ჯარიმას, რომელიც თქვენს შესატანს ფულს ზედ ემატება, თქვენი მამული უფრო და უფრო ვალიანდება და ბოლოს ისყიდება, ან ბანკს რჩება. ამ შემთხვევაში ბანკის მოქმედება ემსგავსება იმ ჩარჩის მოქმედებას, რომელიც ვექსილს უცვლის მოვალეს, სარგებელს თავნზე აწერს, სანამ ვალი კარგად არ გაიზდება, და მერე კანონიერად სძარცვავს პატრონს, ხელიდან ართმევს ვალით შეკრულს მამულს.

ესეც ხომ მოსალოდნელია, რომ ერთ დროს სამინისტრო მიაქცევს ყურადღებას ამ მუდმივს წესდების დარღვევას და მოსთხოვს მმართველობას, რომ მან მსესხებლებს წესდების წინააღმდეგ მათზე დარჩენილი ფული შამოატანინოს. მაშინ რაღა ჰქნას მსესხებელმა, რომ ყველა ფული ერთად მოეთხოვება? არა, ეს მსესხებლის დახმარება-კი არ არის, ეს მისი ხიფათში ჩათრევაა. ამითვე აიხსნება, რომ ამ უკანასკნელს დროს ამდენი მამული დარჩა ბანკს და რომ ეს მამულები ასე დატვირთულია ვალით.

მართლადაც, ბ-ნ კალ. ჩიკვაიძის მმართველობის დროს ბანკს ძლიერ ბევრი მამული დარჩა დიდ ძალის ვალითა. 1890 წელს ბანკის ხელში დარჩენილ მამულებზედ ითვლებოდა ვალი ასი-ათას მანეთზედ ნაკლები, დღეს-კი ეს ვალი ორასი ათას მანეთზედაც მეტი არის. ამ მამულების შამოსავალი სრულიადაც ვერ ჰფარავს იმ სარგებელს, რომელიც ბანკმა გირავნობის ფურცლების პატრონებს უნდა აძლიოს. ამ გვარად ბანკის ზარალი დღითი დღე მატულობს, ბანკის შემოსავალი-კი ამ ზარალის დაფარვას უნდება და წმიდა მოგება თითქმის არაფერი რჩება, რომ საზოგადო მოთხოვნილობათათვის გვეყოს.

ბანკში დარჩენილ მამულების საქმე საზოგადოდ თავიდანვე ცუდად იყო მოწყობილი ქუთაისის ბანკში. დარჩენილ მამულების სუსტის მართვით თავიდანვე ზარალი ეძლევოდა ჩვენს ბანკს, ამისთვის 1891 წლის მაისში საზოგადო კრებამ დააწესა ახალი თანამდებობა ბანკის აგენტისა ანუ მოხელისა, რომლის მოვალეობას შეადგენდა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა. გამგეობამ ამ ადგილზე, ბანკის მამულების მმართველად მიიწვია ბ-ნი პავლე ჩხეიძე. მაგრამ მარტო მისი მოწვევა საკმაო როდი იყო. გამგეობა მოვალე იყო, თითონაც თვალ-ყური ედევნებინა ბანკის მამულებისთვის და ყოველნაირი კანონიერი შემწეობაც მიეცა თვის მიერ მიწვეულ კაცისათვის, რომ ბანკის მამულების მართვის საქმე უკეთ წასულიყო. მაგრამ ბ-ნ ჩიკვაიძეს არავითარი ღონე არ მიუღია, რომ ბანკში დარჩენილ მამულების საქმე კარგად წასულიყო. ბანკი სამი-ოთხის წლის განმავალობაში არ იმტკიცებს დარჩენილს მამულებს და ამ ხანებში მამულის შემოსავლით ძველი პატრონი სარგებლობს, მაშინ როდესაც ბანკში სარგებელი აღარ შემოაქვს. ნაცვლად იმისა, რომ ბანკში დარჩენილი მამულები დროზე გაიყიდოს და ანგარიში გაწმიდოს, მამულები რამდენისამე წლობით ბანკის ხელში რჩება და მით ბანკის ზარალს ადიდებს.

სამინისტრომ უკვე მიაქცია ყურადღება ჩვენის ბანკის ამ მხრივ ურიგო მოქმედებას. ამ მაისში ჩვენმა ბანკმა ძლიერ სასტიკი ქაღალდი მიიღო სამინისტროდან. მინისტრი კითხულობს, რად დარჩენია ბანკს ამდენი მამული, რატომ დროზედ არ იმტკიცებს ბანკი ამ მამულებს და ან რად არ ჰყიდისო და სხვა. მინისტრს ჩვენის ბანკისათვის მავნებლად უცვნია ამდენის მამულების დარჩენა და ავალებს ბანკის გამგეობას, უსათუოდ მოკლე დროში დაიმტკიცეთ ეგ დარჩენილი მამულები და გაჰყიდეთო, თორემ ვერავითარს შეღავათს თქვენი ბანკი ვერ მიიღებსო.

მეტს აღარას ვიტყვით ბ-ნ ჩიკვაძესა და მის მოღვაწეობაზე, მაგრამ რაღა ვთქვათ იმათ შესახებ, ვინც ჩიკვაიძის ყოველსავე ნამოქმედარს ცხადად ჰხედავს და მაინც კიდევ ხელს აფარებს, ემხრობა და ზურგს უმაგრებს თავის მიკედლებით.

მ. ხ—ლი

ჩეხისთვის წმიდა სახელი მხოლოდ მისი ბოჰემია უნდა იყოს. მოგვანიჭეთ ბედნიერი ცხოვრება ჩვენს საკუთარ სახლში, მოგვანიჭეთ თავისუფლება და მაშინ მოგვთხოვეთ, რომ ჩვენი თავი შევწიროთ მთელს ავსტრიას, რომელიც ჩვენთვის ისეთივე სამშობლო იქმნება, როგორც ჩვენი ბოჰემია.

## ნარევი

—

გვალვის დროს პარიჟს ახლო, შუაზში, მრევლმა თავისი მღვდელი მიიწვია და სთხოვა პარაკლისი გადაიხადეთ, უფალს შევევედროთ, იქნება წვიმა მოიყვანოს. ჩვენს გარშემო ყველა სოფლებმა გადაიხადეს პარაკლისიო.

— მეგობრებო, უთხრა მღვდელმა: დამიჯერეთ, გულ-დინჯად იყავით. რადგან ჩვენს გარშემო სოფლებს ყველას გადაუხდია პარაკლისი, თუ იქ წვიმა მოვიდა, ჩვენს სოფელშიაც მოვა, რადგან შუა ალაგი გვიჭირავს. თუ იმათმა ლოცვამ არ გასჭრა და წვიმა არ მოვიდა, ჩვენ მოგებაში დავრჩებით, ლოცვა და შრომა შეგვენახებაო.

**

ერთხელ კარდინალი მაზარინი ქალალდს ეთამაშებოდა ერთს თავისს მახლობელს და თამაშობა ისე მოეწყო როგორღაც, რომ კარდინალს ხელში ორი კიკო შერჩა, რომელთაგანაც ერთს უნდა ჩაეულიყო უბრალოდ, მეორე-კი ხელში შეენახა. მერე რომელი გაემეტნა, როდესაც ხელში შერჩენილს კიკოზედ იყო დამოკიდებული მოგება და წაგება. კარდინალი დიდს გაჭირვებაში იყო და არ იცოდა რომელს ჩაეულიყო, ჯვრის კიკოს თუ აგურისას. ხან ერთს ჰკითხა რჩევა, ხან მეორეს, ბოლოს გამოაძრო აგურის კიკო და უნდა ჩაეულიყო, მაგრამ ამ დროს სტოლს ქვეშ ვიღამაც ფეხი წაჰკრა. კარდინალმა იფიქრა, ვიღაცა მაფრთხილებსო, ამიტომ აგურის კიკო შეინახა და ჯვრისას ჩავიდა.

— წავაგეთო!

წამოიძახა იმასმა მახლობელმა. კარდინალს ძალიან ეწყინა.

— უმაწვილებო, თქვენგანმა ვინ მომცა ის სულელური რჩევა, რომ ჯვრის კიკოს ჩავსულიყავიო? იკითხა გაჯავრებით.

— მე, თქვენო უბოძესო უსამღვდელოესობაო, უპასუხა მასთან მოთამაშემ: ეგ რჩევა რომ არ მომეცა, წავაგებდი, და თქვენვე იფიქრეთ, ჩემს წინააღმდეგ მევე ხომ ვერ მოგცემდი რჩევასაო.

**

სასაფლაოზედ ერთს ქვას ასეთი წარწერა აქვს:

„აქა მდებარებს გვამი ყმაწვილის დიმიტრისა, რომელიც ცხრა თვისა გარდაიცვალა უცოლ-შვილოდ და უსამსახუროდო“.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

„Figaro“-ში დაბეჭდილია წერილი ამავე გაზეთის ერთის თანამშრომლისა, რომელსაც ანარხისტ ვალიანთან ჰქონია ლაპარაკი. როგორ მოახერხა ამ თანამშრომელმა ნახვა ვალიანისა, რომელიც ოცდა-ათ კლიტეულშია გამოკეტილი და მასთან ლაპარაკი, გაზეთში არა სწერია. ეს თანამშრომელი სხვათა შორის სწერს:

ამ დღეებში ვალიანი რამდენჯერმე გადაიყვანეს ერთის საპატიმროდგან მეორეში. ვალიანის სახეს არა ეტყობა რა ისეთი, რომ ადამიანმა სთქვას, ეს კაცი საშინელი მხეცია ან ჭკუაზედ შეშლილიო. ვკითხე, ამერიკაში რას აკეთებდი მეთქი და მიპასუხა: სანტა-ფეში ვიყავი და რამდენსამე ოჯახში ფრანგულს ვასწავლიდიო. ვალიანმა ისპანიის ენაც იცის, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი. საზოგადოდ გრამატიკა არ უყვარს. არც მათემატიკასა სწყალობს და ამბობს, მხოლოდ ის მეცნიერება მიყვარს, რომელიც ცხოვრებაშია გამოსადეგი, მაგალითად, კოსმოგრაფია, ფიზიკა და ქიმიაო.

სტოლზედ ორი წიგნი დავინახე: „გრაფ მონტეკრისტო“ და „მეცნიერების სასწაულთ-მოქმედება“ ფიგიესი. ვკითხე, ეს წიგნები შენ მოგითხოვნია-მეთქი? და მიპასუხა: არა, „მონტეკრისტო“ მე არ მომითხოვნია: საზოგადოდ რომანები არ მიყვარს, ფიგიეს წიგნი-კი ძლიერ მომწონს. იგი სამეცნიეროც არის და გამოსადეგიც. ფიგიეს თხზულებანი მიყვარს და ფლამარიონისა-კი არა, რადგანაც ფლამარიონი ხანდახან სპირიტიზმს მისდევს ხოლმე. ვალიანი მეტად ამაყი და სახელის მოყვარე კაცი ყოფილა და ამასთანავე ნაკლებად განათლებული.

—

ფრანგულ გაზეთებში საოცარი ამბავია დაბეჭდილი ერთის ქალის შესახებ, რომელსაც აგერ 10 წელიწადია რაც სალათას ძილით სძინავს. ორინიის ახლოს ტონელში 1883 წელს 31 მაისს ერთს ქალს მარგარიტა ბ—ს, რომელსაც ჟანდარმები დაეჭებდნენ, ძლიერ შეეშინდა და ამის გამო სალათას ძილით დაეძინა. პირველ დღიდგანვე ქალი უგრძნობლად იყო. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ქალს პირი ვერ დაუღეს და ვერა აჭამეს-რა. ამიტომ ექიმები ხელოვნურად ჰკვებავენ რძითა, ღვინითა და პეპსინით. მარგარიტა გულ-აღმა წევს, თვალებ დახუჭული. სახე გაფითრებული აქვს. ისე გამხდარია, რომ ცალიერი ძვლები და ხორცი-ღა შერჩენია, თმა და ბრჩხილები აღარ ეზრდება. ექიმი შარლიე ამტკიცებს, რომ ეს ქალი უგრძნობელი არისო. ამავე ექიმის აზრით, ეს ძილი საშიში არ არის ავადმყოფისთვის, ხოლო კუჭი-კი ძლიერ დაუსუსტდება და საშიშოა ამიტომ, რომ გამოღვიძებისათანავე გარდაიცვლებაო.

## გამოსადეგი ცნობა

—

ხეხილის შენახვა კურდღლისაგან. კურდღლები ზამთარში ძალიან ასდენენ ხეხილის ქერქს, ძირის და დიდად აფუჭებს, მეტადრე ნორჩს ხეხილს. სხვათა შორის კურდღლისაგან ხეხილის შესანახად შემდეგს საშუალებასა ჰხმარობენ. სამ ნაწილს დამდნარს ქონსა და ერთ ნაწილს კუპრს ნელს ცეცხლზედ შეათბობენ ხოლმე და თბილთბილს ხეხილს სცხობენ იმ ადგილამდე, სანამ კურდღელი შესწვდება. არ ვიცით, არ მოსწონთ ეს წამალი, თუ რა მიზეზია, მაგრამ ამის შემდეგ-კი არც ერთი კურდღელი არ ეკარება წამალ-წასმულ ხეხილს. წამალი დიდხანს სძლებს, მეტადრე თუ ცოტა სქლად არის, მთელის ზამთრის განმავლობაში ერთი წასმა კმარა. რაღა თქმა უნდა, რომ ეს საშუალება თვით ხეხილისათვის მავნებელი არ არის.

# დეპეშა

11 დეკემბერი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულ კომიტეტის ფულიდამ, რომელიც იყო შეგროვილი დამშეულთათვის, 1,200,000 გადაიდო ამ გუბერნიების სამამასახლისოებში 240 გამსესხებელ კასის დასაარსებლად. ფინანსთა სამინისტროს კომისიამ გადასწვიტა, რომ სოფლის საკრედიტო დაწესებულებათათვის შემოღებულ იქმნას პაები ურთიერთი თავდებობისა.

„**პარიჟი.** „Temps“-ში დაბეჭდილია წერილი ზოლასი, რომ საჭიროა სალიტერატურო კონვენცია დაიდოს რუსეთისა და საფრანგეთის შორისაო. დარწმუნებული ვარ, რომ კონვენციის დადება მოხერხდება, თუ რუსეთის მწერლობა თანაუგრძნობს ამ საქმეს. ამიტომ მივმართავ ამ ჩემის წერილით რუსეთის მწერლობასაო.

**რომი.** დერვიშების ჯარმა, რომელშიაც 6000 თაფოსანი და 4000 შუბოსანი იყო, ჰამედ-ალის უფროსობით შემოუარა აგორდატს და განიზრახა იერიში მიეტანა აბისინიაში მდებარე იტალიის ციხე-სიმაგრეზე. იტალიის პოლკოვნიკი არიმონდი დაუყოვნებლივ დაეცა თავს დერვიშებს და, ორის საათის ბრძოლის შემდეგ, დერვიშები დამარცხებულ იქმნენ; მოკლულთა შორის არის თვით ჰამედ-ალი და თითქმის ყველა ემირები. სამოცი დროშა და ერთი მიტრალიეზა დარჩათ იტალიელებს.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ს. ლ—ნს. ალ.—გვ—ძეს.** დიდად დაგვავალებთ, თუ მოგვწერთ ხოლმე. ამისთანა ცნობანი ძვირფასია ჩვენთვის.

# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—138)




# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ჟ. მ. ჩაქოანი**, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი**, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| განიერი ნახვრად მოძრავი | მაღალი ნახვრად მოძრავი | მოგრძო უძრავი |
|---|---|---|
| ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | 1-დგან 100 ცხენის ძალით. | 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით |



ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება. (3—3)

## „ნევის პარიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. დ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—21)